ხელშეკრულების პროექტი

ქ. თბილისი ---------- 2019 წ.

ხელშეკრულება დგება 2019 წლის 9 აგვისტოს დასრულებული ტენდერის შედეგების საფუძველზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა----------სატენდერო წინადადება.
ერთის მხრივ ააიპ "დივაინ ჩაილდ ფაუნდეიშენ ოფ ჯორჯია" (შემდგომში "შემსყიდველი"), აღმასრულებელი დირექტორის მინდობილი პირის ლალი ცერცვაძის სახით და მეორეს მხრივ ---------- ----------სახით
(შემდგომში–"მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: იუნისეფის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ქ. ქუთაისსა და ქ. თბილისში მდებარე სპეციალიზირებულ მს სახლებში მცხოვრები შშმ ბავშვებისთვის ელექტრო სავარძელ-ეტლების შესყიდვა.
1.2 ხელშეკრულების საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართში №1, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და შეადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ----------ლარს. (----------ლარი 00 თეთრი).
2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს აღჭურვილობის შესყიდვის, მიწოდების, ტრანსპორტირების, აწყობა- მონტაჟის ანაზღაურებას, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებელის ჩათვლით.

მუხლი 3. ხარისხი და გარანტია

3.1. "მიმწოდებელი" დამხმარე საშუალებების მოწოდებას უზრუნველყოფს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტანდარტის შესაბამისად.
3.2. „მიმწოდებელი" ვალდებულია წარმოადგინოს ინფორმაცია, მოწოდებული აღჭურვილობის სტანდარტებთან შესაბამისობისა და ხარისხის გარანტიის შესახებ. აღნიშნული ოფიციალური დოკუმენტაცია თან უნდა ახლდეს მოწოდებულ დამხმარე საშუალებებს.

მუხლი 4. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

4.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშ-ფაქტურით.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. "მომწოდებელი" ვალდებულია დამხმარე საშუალებების მიწოდება უზრუნველყოს 2019 წლის ---------- ----------ჩათვლით.
5.2. "მომწოდებელი" საქონლის დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებას ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯით. დანიშნულების ადგილების მიხედვით დამხმარე საშუალებების განაწილება მოცემულია დანართში №1.
5.3. „მომწოდებელი" ადგილებზე უზრუნველყოფს აღჭურვილობის აწყობა-მონტაჟს.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

6.3. მიმწოდებელს უფლებამოსილია მოსთხოვოს შემყიდველს შესყიდვის ობიექტების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.5. მიმწოდებელი ვალდებულია:
ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები.

6.6. ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;

7.3 ელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;

7.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

მუხლი 8. ფორს - მაჟორული სიტუაცია

8.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები, საომარი მოქმედებები და გაფიცვები. თუ ეს გარემოებები უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, მაშინ ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით;

8.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;

8.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 9 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. მყიდველი ვალდებულია საქონლის მიწოდების მომენტში-მიღებამდე განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და მის მოთხოვნებთან;

10.2. შემოწმების შედეგად ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის გამოვლენისას მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გაატაროს აღმოფხვრის ღონისძიებები;

10.3. მყიდველის მიერ საქონლის მიღების შემდეგ შესყიდვის ობიექტების ხარისხის და შესაბამისობის პრეტენზია მხარეებს შორის განხილვას არ ექვემდებარება.

მუხლი 11 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2019 წლის ---------- ჩათვლით.

მუხლი 12 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებით.

მუხლი 13 სხვა პირობები

13.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

13.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

13.3 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იქნას ქართულ ენაზე;

13.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“